საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №175
2016 წლის 27 სექტემბერი

ქ. თბილისი

„თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 30.06.2016, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.22.027.016644) პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ“ ქვეპუნქტი:

„პ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**